

სკოპინგის დასკვნა N33

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „საერთაშორისო ენერჯო კორპორაცია“ (ს/კ 405264057);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ამბროლაურის და ონის მუნიციპალიტეტები;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 30.08.2023;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „საერთაშორისო ენერჯო კორპორაცია“ მიერ, წარმოდგენილ იქნა, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში, 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის სკოპინგის ანგარიში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, შპს „საერთაშორისო ენერჯო კორპორაცია“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. ლუხუნის ხეობაში ახორციელებს 17 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დერივაციული ტიპის „ლუხუნი 2“ ჰესის მშენებლობას, რაზეც 2018 წლის 5 აგვისტოს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (შპს „რუსმეტალის“ მდ. ლუხუნის ხეობაში მცირე ჰესების კასკადის განთავსებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ - ბრძანება N 2-676). აღნიშნული გადაწყვეტილება გაცემულ იქნა შპს „რუსმეტალზე“. 2018 წლის 6 სექტემბერს ერთობლივი განცხადებით შპს „რუსმეტალმა“ და შპს „საერთაშორისო ენერჯო კორპორაციამ“ მოითხოვეს შპს „რუსმეტალზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „საერთაშორისო ენერჯო კორპორაციაზე“ გადაცემა, შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „საერთაშორისო ენერჯო კორპორაციას“ (ბრძანება N 2-776). დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ქვეყნის ელექტროსისტემაში ჩართვის მიზნით, 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანას.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, 110 კვ ძაბვის ეგხ-ის გაყვანა დაგეგმილია ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების საზღვრებში. ეგხ-ის საწყისი წერტილი მდებარეობს „ლუხუნი 2 ჰესის“ 110 კვ ძაბვის ქვესადგურთან (GPS კოორდინატები: X-360661.65, Y-4724152.94), საბოლოო წერტილი - 110 კვ ძაბვის ქვესადგურ „ონი 110“-თან. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე იქნება 20,18 კმ. „ლუხუნი 2 ჰესის“ 110 კვ ძაბვის

ქვესადგურიდან ეგხ-ის დერეფანი გაივლის სოფ. ურავის, სოფ. ჭვებარის, სოფ. გადამშის, სოფ. შარდომეთის ტერიტორიებს და მიმდებარედ არსებულ სოფლებს, რის შემდგომაც ქ. ონამდე მიუყვება მდ. რიონის ხეობას. წარმოდგენილი shp ფაილების მიხედვით, ეგხ-ის დერეფნიდან (ანძა N57) უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს 30 მეტრს. საპროექტო ეგხ-ის დერეფანი გადაკვეთს მდინარე ლუხუნს, მდინარე რიონსა და ორ მცირე ზომის მდინარეს (მდ. სართაულა და მდ. ჯეჯორა).

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია საპროექტო ეგხ-ის ტიპის, ადგილმდებარეობისა და დაგეგმილი საქმიანობის უმოქმედობის ალტერნატივები. დოკუმენტში განხილულია ეგხ-ის გაყვანის სამი ალტერნატიული მარშრუტი, რომელთა ურთიერთშედარების საფუძველზე, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა მე-2 ალტერნატივას, რაც გულისხმობს, ეგხ-ის საწყისი მონაკვეთიდან სამხრეთის მიმართულებით, მდ. რიონის მარჯვენა სანაპირომდე საყრდენი ანძების განთავსებას, რის შემდგომ საპროექტო ზუდალის ქვესადგურის მიმდებარე ტერიტორიისა და მდ. რიონის ჭალების გავლით, ეგხ-ის დერეფანი მიემართება 110 კვ ძაბვის ქვესადგურისკენ. ელექტროგადამცემი ხაზის ტიპის ალტერნატიული ვარიანტებიდან (საჰაერო და მიწისქვეშა ეგხ) გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანას.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, 20,1 კმ სიგრძის საპროექტო ეგხ-ის დერეფანი დაყოფილია ორ მონაკვეთად, საიდანაც პირველი მონაკვეთის სიგრძე იქნება 10,6 კმ, ხოლო მეორე მონაკვეთის - 9,5 კმ. ეგხ-ის დერეფანში დაგეგმილია 75 ერთეული საყრდენი ანძის მოწყობა, საიდანაც 38 ანძა განთავსდება პირველ მონაკვეთზე, ხოლო 37 - მეორე მონაკვეთზე. სკოპინგის ანგარიშში მოცემულია თითოეული საყრდენი ანძის განთავსების GPS კოორდინატები. ეგხ-ის დერეფნის პირველი მონაკვეთი გაივლის დაუსახლებელ ტერიტორიებს, მეორე მონაკვეთზე ხდება დერეფნის გატარება დასახლებულ პუნქტებში. ეგხ-ის საწყისი მონაკვეთი იწყება ლუხუნის 2 ჰესის ქვესადგურის ტერიტორიიდან, სადაც ამჟამად მიმდინარეობს ჰესის ძალური კვანძის სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული ტერიტორიიდან, ეგხ-ის დერეფანი გადაკვეთს მდ. ლუხუნს და საპროექტო N2 საყრდენი ანძა განთავსდება მდინარის მარჯვენა სანაპიროზე 150 მ-ის მანძილის დაშორებით. შემდგომ, ეგხ-ის დერეფანი მიემართება მარჯვენა სანაპიროს ფერდობის ზედა ნიშნულებზე სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, გაივლის ტყით დაფარულ ტერიტორიებს, რის შემდეგაც გადადის მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროს ფერდობზე და მიემართება სამხრეთის მიმართულებით, გაივლის სოფ. ჭვებარის მიმდებარე ტერიტორიებს და მიემართება მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე საპროექტო ზუდალის ქვესადგურის ტერიტორიისკენ. ეგხ-ის მე-2 მონაკვეთი იწყება საპროექტო ქვესადგურ ზუდალის მიმდებარე ტერიტორიიდან და მიემართება აღმოსავლეთის მიმართულებით, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის „ქუთაისი-ალპანა-მამისონის“ პარალელურად მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროსკენ, დერეფანი N46 და N47 ანძებს შორის

მონაკვეთზე გადაკვეთს მდინარეს და მიემართება სოფ. პატარა ჩორდის ჩრდილოეთის მხარეს. სოფ. ახალი ჩორდის ტერიტორიაზე, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაცილება შეადგენს არანაკლებ 30 მეტრს. სოფ. ახალი ჩორდის შემდეგ ეგხ-ის დერეფანი გრძელდება სოფ. ზუდალის მიმართულებით, სოფლის გავლის შემდეგ მიემართება მდ. რიონის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ და სოფ. ნიგვზნარას ზედა დინებაში გადადის მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, შემდეგ ეგხ-ის დერეფანს გადაკვეთს მდ. რიონის, მდ. ჯეჯორას და უერთდება ონის 110 კვ ძაბვის ქვესადგურს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ეგხ-ის დერეფანში მოეწყობა A2, B2, C2, D2 ტიპის საყრდენი ანძები. სადენებად გამოყენებული იქნება ფოლად-ალუმინისა და მოთუთიებული ფოლადის სადენები. საჰაერო ეგხ-ის საყრდენებისთვის საძირკვლების პარამეტრები შერჩეულია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე. უნიფიცირებული საყრდენების საძირკვლად გამოყენებული იქნება ანაკრები და რკ/ზეტონის ბლოკები. ქვაბულების შევსება (უკუყრილი) მოხდება ხრეშზე ან ღორღზე დამატებული გრუნტის მასით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ეგხ-ის მშენებლობის პროცესში სამშენებლო მასალებისა და აღჭურვილობის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება „ქუთაისი-ალპანა-მამისონის“ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, პროექტის ფარგლებში საჭირო იქნება ახალი მისასვლელი გზების მოწყობა და ზოგიერთ მონაკვეთებზე ადგილობრივი გზების რეაბილიტაცია. ახალი და სარეაბილიტაციო გზების საერთო სიგრძე იქნება 14 568 მ. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია მისასვლელი გზების შესახებ, სადაც ასახული და ერთმანეთისგან გამოყოფილი იქნება არსებული, სარეაბილიტაციო და მოსაწყობი გზების დერეფნები. ასევე, შეფასებული უნდა იქნეს ახალი გზების მოწყობისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე.

პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ვადა განსაზღვრულია 10-12 თვით. მშენებლობის ეტაპზე დაგეგმილია ორი სამშენებლო ბანაკის მოწყობა. N1 სამშენებლო ბანაკი მოეწყობა სოფ. ურავში 9207 მ² ფართობის ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს შპს „საერთაშორისო ენერჯო კორპორაციას“ საკუთრებას (ს/კ 86.01.29.006), რომელიც ამჟამად გამოიყენება ლუხუნის 2 ჰესის მშენებლობის მომსახურებისათვის. N2 სამშენებლო ბანაკი მოეწყობა სოფ. სორში, 8 678 მ² (ს/კ 88.10.27.015) ფართობზე. N2 სამშენებლო ბანაკისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „ჯი ინვესტის“ საკუთრებას, აღნიშნულიდან გამომდინარე გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს მიწის ნაკვეთის გამოყენებასთან და მის მესაკუთრესთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, N1 ბანაკი უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებული იქნება 120 მ-ით, ხოლო მდინარე ლუხუნის სანაპიროდან 15 მ-ით. N2 ბანაკიდან განთავსების ადგილიდან უახლოესი სახლი მდებარეობს 300 მ-ით, ხოლო ბანაკის

ინფრასტრუქტურა მდ. რიონის ტერიტორიიდან დაცილებული იქნება არანაკლებ 50 მ-ით. სამშენებლო ბანაკების ტერიტორიებზე, სამშენებლო მასალების მწარმოებელი ობიექტების მოწყობა დაგეგმილი არ არის. ბანაკებზე საწარმოო დანიშნულებით წყლის გამოყენება საჭირო არ იქნება და არც საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ექნება ადგილი. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული იქნება ადგილზე მიტანილი წყალი, ხოლო სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება ჰერმეტიული სასენიზაციო ორმოების გამოყენებით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ექსკავირებული ქანების ძირითადი ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრილების სახით (მათ შორის გზების მშენებლობის დროს ყრილების მოსაწყობად), ხოლო ნამეტი გრუნტის განთავსება მოხდება სპეციალურად შერჩეულ ტერიტორიებზე. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გზმ-ს ეტაპზე დაზუსტებული იქნება ექსკავირებული გრუნტის და დასაწყობებას დაქვემდებარებული ფუჭი ქანების რაოდენობები, ასევე განისაზღვრება ფუჭი ქანების სანაყაროების მოწყობის საჭიროება. გზმ-ის ანგარიშში დაზუსტებული უნდა იქნეს მშენებლობის ეტაპზე ექსკავირებული ქანების და მათ შორის მუდმივ დასაწყობებას დაქვემდებარებული ფუჭი ქანების რაოდენობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, ასევე გზმ-ის ეტაპზე მოცემული უნდა იყოს ფუჭი ქანების განთავსების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად, ეფექტურობის მითითებით.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საკვლევ ტერიტორიაზე გეოდინამიკური პროცესების განვითარების კვალი არ აღინიშნება. თუმცა, ანგარიშში ასევე აღნიშნულია რომ საპროექტო ანძების განთავსების რელიეფიდან და გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მცირე ეროზიული პროცესების განვითარებას. საკვლევ ტერიტორია მიეკუთვნება 9 ბალიანი სეისმური აქტივობის ზონას. გზმ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური, გეოდინამიკური და გეომორფოლოგიური პირობები, ასევე შესაბამისი კვლევების საფუძველზე, სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული გასატარებელი საინჟინრო ღონისძიებები და მათი ეფექტურობა, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საპროექტო დერეფანში საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების რისკების შესახებ, შესაბამისი ეფექტური პრევენციული ღონისძიებების მითითებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ეგხ-ის მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ეგხ-ის ექსპლუატაციის პროცესში დიდი რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. მშენებლობის

პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად ზემოქმედების ქვეშ ექცევა ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემის (European Nature Information System) 13 ტიპის ჰაბიტატი (G1.A73 - კავკასიური მუხნარ-რცხილნარი ტყეები; G1.A3 - რცხილნარი ტყეები; G3.4E - პონტოურ-კავკასიური ფიჭვნარი (*Pinus sylvestris*) ტყეები; G1.B - მურყნარი ტყეები; G1.1 - ჭალისა და სანაპირო ტყეები, სადაც დომინირებს მურყანი, არყი, ვერხვი ან ტირიფი; S38 - ზომიერი სარტყლის ნატყევარზე განვითარებული ბუჩქნარი: E2 - მეზოფილური ველები; C3.62 - მცენარეულობას მოკლებული მდინარის ხრეშიანი ნაპირები; C3.55 - მცენარეებით მეჩხრად დასახლებული მდინარის ხრეშიანი ნაპირები; C2.2 - მუდმივი, მიქცევა-მოქცევისგან დამოუკიდებელი, სწრაფი, ტურბულენტური დინებები; I - რეგულარულად ან ახლახან დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო მიწები, ბაღები და საკარმიდამო ნაკვეთები; J4.2 - საგზაო ქსელები: საგზაო ქსელები და საპარკინგე ზონები, ასევე მათ სიახლოვეს არსებული ძლიერად რუდერალიზებული ლანდშაფტები (მაგ. გზისპირები); J6 - ნაგავსაყრელები; J1.2 - სოფლები და ურბანული პერიფერიების დასახლებები). პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია საქართველოს წითელი ნუსხით დაცული მცენარეთა სამი სახეობა: წაბლი (*Castanea sativa*); კაკალი (*Juglans regia*); კოლხური ჯონჯოლი (*Staphylea colchica*) სტატუსით VU - მოწყვლადი.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ფაუნაზე ზემოქმედების მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელფრთიანებზე და ორნითოფაუნაზე ზემოქმედება. ლიტერატურული წყაროებისა და სავლე კვლევების შედეგების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ხვდება ხელფრთიანთა 20-მდე სახეობა, მათ შორის ბონის კონვენციის პრიორიტეტული და IUCN-ის წითელი ნუსხით დაცული მოწყვლადი სტატუსის მქონე (VU) სახეობები: ჩვეულებრივი ფრთაგრძელი (*Miniopterus schreibersii*), დიდი ცხვირნალა (*Rhinolophus ferrumequinum*), მცირე ცხვირნალა (*Rhinolophus hipposideros*) და წვეტყურა მდამიობი (*Myotis blythii*). საპროექტო ტერიტორიასა და მის მიმდებარედ აღრიცხულია 20-მდე სახეობის ფრინველი. გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური კვლევა, მათ შორის განხილული და დასაბუთებული იყოს საქმიანობის განხორციელებით ხელფრთიანებზე და ორნითოფაუნის წარმომადგენლებზე მოსალოდნელი ზემოქმედებების სახეების შესახებ დეტალური ინფორმაცია, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო და საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ სახეობებზე და შემუშავდეს და წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, ეფექტურობის მითითებით. ასევე, მოცემული უნდა იყოს ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემის (European Nature Information System) სენსიტიური ტიპის ჰაბიტატებზე მოსალოდნელი ზემოქმედებების გათვალისწინებით, ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

სკოპინგის ანგარიშიდან დგინდება, რომ საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა-ექსპლუატაციით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება საპროექტო მეორე მონაკვეთზე კერძოდ, ზუდალი-ონის დერეფნის ფარგლებში, სადაც სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, არსებობს მოქმედი ელექტროგადამცემი ხაზები, მათ შორის: 10 კვ, 35 კვ და 110 კვ ძაბვის საყრდენები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი და დეტალურად განხილული უნდა იქნეს კუმულაციური ზემოქმედება საპროექტო და არსებული ეგხ-ების გათვალისწინებით, როგორც ბუნებრივ ასევე სოციალურ გარემოზე, განსაკუთრებით საპროექტო მეორე მონაკვეთზე.**

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ელექტროგადამცემი ხაზის პირველი მონაკვეთის დერეფნის წინასწარი ვიზუალური დათვალიერების პროცესში ხაზის უშუალო სიახლოვეს რაიმე კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის არქეოლოგიური მემკვიდრეობის ობიექტი არ გამოვლენილა. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, მე-2 მონაკვეთზე ეგხ-ის დერეფანი კვეთს რამდენიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ვიზუალური დაცვის ზონას, მათ შორის: სოფ. ზუდალის მიმდებარედ არსებული ბაქრამეების კოშკების და ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული ონის ციხე 1-ს, ონის ციხე 2-ის და კოშკის ნანგრევებს, რომლებიც ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნიდან დაცილებულია 100 მ-ზე მეტი მანძილით, რაზეც სკოპინგის ანგარიშის მიხედვით მოსალოდნელი არ არის ზემოქმედება. ამასთან, ეგხ-ის გავლენის ზონაში მოქცეული იქნება კულტურული მემკვიდრეობის 2 უძრავი (ონის ციხე 3 და ჯეჯორჰესის შენობა) შენობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საბოლოო საპროექტო გადაწყვეტები მიღებული იქნება სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შეთანხმებით.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების მერიების საინფორმაციო დაფებზე განთავსება. საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა 2023 წლის 21 სექტემბერს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ურავის კულტურის სახლის შენობაში და ამავე წლის 22 სექტემბერს ონის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „საერთაშორისო ენერჯო კორპორაციის“, შპს „გამა კონსალტინგის“, ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვებზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით დაფიქსირებული შენიშვნები/მოსაზრებები ეხებოდა ეგხ-ის გაყვანით ქ. ონში კერძო ნაკვეთებზე მოსალოდნელი

ზემოქმედების საკითხს. შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შერჩეული ალტერნატივის განხორციელებით კერძო ნაკვეთებზე ზემოქმედება არ იქნება მოსალოდნელი. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვების ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1 გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ
4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
 - გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ეგხ-ის ტიპის ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ეგხ-ის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალურ- ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;

- პროექტის აღწერა, მათ შორის ინფორმაცია საპროექტო ეგზ-ის სიგრძის, საპროექტო მონაკვეთში საყრდენი ანძების რაოდენობის შესახებ, ასევე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების დეტალური აღწერა;
- საპროექტო ეგზ-ის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები, ფიზიკური მახასიათებლების ცხრილი. ამასთან, ინფორმაცია ეგზ-ის ძაბვის, განთავსების ტექნიკური გადაწყვეტების შესახებ;
- საპროექტო ტერიტორიის დეტალური აღწერა/გარემო პირობების დახასიათება, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის დეტალური აღწერა, მათ შორის (არსებობის შემთხვევაში) მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ობიექტების და კერძო საკუთრებების გადაკვეთის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს კერძო მესაკუთრებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საპროექტო ეგზ-ის დერეფნის shp ფაილები, ეგზ-ის საყრდენი ანძების განთავსების GPS კოორდინატები და ზემოქმედების არეალში მოქცეული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები;
- ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონების და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვის შესახებ. ინფორმაცია საპროექტო ბუფერის (სქემატურ რუკაზე დატანილ) შესახებ, მისი ფართობისა და ბუფერში მოქმედი შეზღუდვების შესახებ;
- ეგზ-ის საპროექტო დერეფნიდან და ეგზ-ის დაცვის ზონიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე/დასახლებამდე, ზედაპირული წყლის ობიექტამდე, მდებარეობის მითითებით (რუკაზე ჩვენებით);
- საპროექტო ეგზ-ის სქემა/სიტუაციური რუკა (შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების მითითებით), შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაცია ეგზ-ის გაყვანისა და ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ხანძარსა და ალმდეგო ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყლის გამოყენების საჭიროების შესახებ;
- ინფორმაცია სანიაღვრე და ჩამდინარე წყლების წარმოქმნისა და მართვის შესახებ;
- საპროექტო ტერიტორიაზე მისასვლელი გზების შესახებ ინფორმაცია. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია უშუალოდ საყრდენი ანძების განთავსების წერტილებამდე მისასვლელი გზების შესახებ. საპროექტო მისასვლელი გზების პარამეტრების, მოწყობის გეგმისა და მოსალოდნელი ზემოქმედების მითითებით. პროექტის ფარგლებში მოსაწყობი გზები ასახული უნდა იქნეს სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებზე;
- პროექტის ფარგლებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი და მუშაობის

ხანგრძლივობა. ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;

- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში საპროექტო ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შესახებ ინფორმაცია.

4.1 სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ინფორმაცია სამშენებლო უბნების შესახებ;
- მოსალოდნელი ზემოქმედების ხანგრძლივობის შეფასებისა და ზემოქმედების პერიოდების განსაზღვრის მიზნით წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროექტის ხანგრძლივობის, სამუშაოების ჩატარების პერიოდისა და დროის შესახებ, სამუშაოების გეგმა-გრაფიკის მითითებით;
- საყრდენისათვის საჭირო მიწის ფართობის, საძირკვლების და მოხსნილი გრუნტის შესახებ ინფორმაცია;
- დეტალური ინფორმაცია მცენარეული და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების, გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით). მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის და გრუნტის დასაწყობების ადგილები (GPS კოორდინატები) და სავარაუდო მოცულობები;
- ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკის შესახებ;
- ობიექტების მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტების (არსებობის შემთხვევაში) მოწყობის შესახებ ინფორმაცია.

4.2 სამშენებლო ბანაკ(ებ)ის განთავსების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის:

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ის შესახებ, ბანაკ(ებ)ის ადგილმდებარეობის და ფართობის მითითებით (shp ფაილები და GPS კოორდინატები);
- მოცემული უნდა იყოს სამშენებლო ბანაკ(ებ)ისთვის შერჩეული ტერიტორიის აღწერა;
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია სამშენებლო ბანაკებზე განსათავსებელი ინფრასტრუქტურის შესახებ;
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ის წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;

- სამშენებლო ბანაკ(ებ)ზე საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ ინფორმაცია.

4.3 გზშ-ის ანგარიშში, გეოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა (მათ შორის მონაკვეთის პიკეტური აღწერა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული გეოლოგიური პროცესების შეფასებასაც).

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- ფუჭი ქანების განთავსების ადგილების (სანაყაროები) და სამშენებლო ბანაკის მოწყობისათვის საჭირო შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა განსახილველად.
- ეგხ-ის I მონაკვეთის #1 ანძის და ეგხ-ს II მონაკვეთის #36 ანძის მიმდებარედ ფიქსირდება დინამიკაში მყოფი მასშტაბური მეწყრული სხეულები, ხოლო ეგხ-ს II მონაკვეთის #32, #33 და #34 ანძები ხვდება მასშტაბური მეწყრული სხეულის არეალში. აღნიშნული ანძების განთავსების არეალში უნდა ჩატარდეს დამატებითი კვლევები, რომლის დროსაც შესაძლოა გამოიკვეთოს ანძების ადგილმონაცვლეობის და შესაბამისად ეგხ-ს ამ მონაკვეთის კორექტირების საჭიროება. აღნიშნული გარემოება გათვალისწინებული უნდა იქნას გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილის საბოლოო რედაქციაში.

4.4. გზშ-ის ანგარიშში, ბიოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- გზშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზისა და მისი მშენებლობისათვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტ მონაცემებზე, მათი სახეობების მიხედვით, რაოდენობისა და მოცულობის მითითებით. (ე.წ ტყე-კაფის უწყისი);

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად მისასვლელი გზების, სამშენებლო ბანაკის, ფუჭი ქანების სანაყაროს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობისას ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, ასევე, აუცილებელია, დაზუსტდეს ფუჭი ქანების სანაყაროსთვის გამოყოფილი ტერიტორიების რაოდენობა და მდებარეობა;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გზშ-ის ფაზაზე ჩატარდება საპროექტო არეალის ბიოლოგიური გარემოს დეტალური კვლევები. გზშ-ის ანგარიშში აღნიშნული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდეს მონიტორინგის გეგმა, რომელიც ტექნიკურ ნაწილთან ერთად უნდა მოიცავდეს თავად გეგმას, ცხრილის სახით რომელშიც ასახული უნდა იყოს ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე (განსაკუთრებით ორნითოფაუნაზე) ფრინველების სიკვდილიანობაზე (მაგალითად როგორცაა ელექტროსადენებთან შეჯახებით სიკვდილიანობა) დაკვირვების საკითხები, ვადების, ადგილების, ხანგრძლივობის და სხვა პარამეტრების მითითებით. გეგმაში ასევე მითითებული უნდა იყოს დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში დამატებით პრევენციული, მათ შორის საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით.

5. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- პროექტის ფარგლებში ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ამასთან, მითითებული უნდა იყოს შესაძლო ემისიები, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში და სხვა;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების კუთხით (ხმაურის გავრცელების სიხშირე და დონე), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ელექტრომაგნიტური ველების გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, საჭიროების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, დეტალური ინფორმაცია ჩატარებული კვლევების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებული უნდა იყოს პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ობიექტების განთავსების ადგილებიდან მანძილი ზედაპირული წყლის ობიექტებამდე. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს „წყალდაცვითი ზოლის

შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ ინფორმაცია;

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა და გრუნტის წყლებზე, დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელების მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ნარჩენების მართვის საკითხები. პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, შემდგომი მართვის ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე. ამასთან, განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ, არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების (მარშრუტებისა და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის მითითებით), მათ შორის სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში არსებული და დაგეგმილი პროექტები;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, მიმდებარე არსებული ობიექტების გათვალისწინებით. შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები;
- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;**
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე (წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო არეალში ზემოქმედებას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთებისა და მათი მესაკუთრეების ინფორმირების/შეთანხმების შესახებ ინფორმაცია, ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს დაგეგმილი საქმიანობის არეალში მოქცეული მუნიციპალიტეტების პოზიცია დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით), ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან

დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ასევე, მოცემული იყოს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია;

- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია;

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ეგზ-ის დერეფანი კვეთს სორის დიაბაზის გამოვლინების კონტურს და გადაკვეთის ადგილებში ექვემდებარება წიაღზე დამაგრებას. გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორია კვეთს ზუდალის ქვიშა-ხრემის გამოვლინების კონტურს. თანაკვეთის ფართობზე არსებული (58720 კვ.მ) ქვიშა-ხრემის მარაგი შეადგენს 176 160 მ³-ს. „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, 1 პუნქტის „ა“ ქ/პუნქტის მიხედვით, 1 მ³ ქვიშა-ხრემის მოპოვებისათვის მოსაკრებელი შეადგენს 0,2 ლარს. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ფართობების განაშენიანება დასაშვებია, თუ განაშენიანების მსურველი წიაღისეულის მესაკუთრეს კომპენსაციის სახით გადაუხდის სასარგებლო წიაღისეულის იმ სახეობის საფასურს (შესაბამისი წიაღისეულით სარგებლობისათვის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის ოდენობით), რომლით სარგებლობასაც იგი ზღუდავს ან აფერხებს დაგეგმილი განაშენიანებით“. გარდა ზემოაღნიშნულისა, საპროექტო ტერიტორია კვეთს წიაღისეულით სარგებლობის ობიექტის (ონის მუნიციპალიტეტზე ქვიშა-ხრემის მოპოვებაზე გაცემული მოკლევადიანი წიაღით სარგებლობის ნებართვა) კონტურს. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან

შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე. წარმოდგენილი ტერიტორია, ასევე, კვეთს ურავის დარიშხანის საზღვარს კონტურს, რომელიც ირიცხებოდა სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსზე და მუშავდებოდა გასული საუკუნის 30-40-იან წლებში მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრის საშუალებით. დღეის მდგომარეობით საზღვარ მოხსნილია ბალანსიდან არარენტაბელურობის გამო, ხოლო არსებული მიწისქვეშა სიცარიელების ამჟამინდელი მდგომარეობა მათთვის უცნობია. აღნიშნული საკითხები გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში.

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, წარმოდგენილი 3 ალტერნატივის მთლიანი 67606 გრძივი მეტრიდან (1. 16932 გრძ.მეტრი; 2. 20111 გრძ. მეტრი; 3. 30563 გრძ. მეტრი) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, სახელმწიფო ტყეშია 45252 გრძივი მეტრი (1. 12291 გრძ. მეტრი; 2. 12821 გრძ. მეტრი; 3. 20140 გრძ. მეტრი). კერძოდ, ამბროლაურის სატყეო უბნის ურავისა და ლიხეთის, ონის სატყეო უბნის სორის, შარდომეთის, ბაჯიხევისა და ონის სატყეოებში. ასევე, წარმოდგენილი სანაყაროს მთლიანი 17 852 კვ.მ. ფართობი არ მდებარეობს სახელმწიფო ტყეში. ხოლო ეგხ-ს ბუფერის საერთო 1 007 211 კვ.მ. ფართობიდან, სახელმწიფო ტყეს წარმოადგენს 63 4037 კვ.მ. და მდებარეობს ამბროლაურის სატყეო უბნის ურავისა და ლიხეთის სატყეოებში, ონის სატყეო უბნის სორის, შარდომეთის, ბაჯიხევის, ონისა და ღარის სატყეოებში. საქმიანობის განმახორციელებელმა გზშ-ის ანგარიშს უნდა დაურთოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები. ამასთან, სახელმწიფო ტყეში მდებარე ზემოაღნიშნული ყველა ფართობი ზედდებამია სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის (ლიცენზიანტი შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა“. ლიცენზიის #000019) ტერიტორიასთან. აღნიშნული საკითხები გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში და წარმოდგენილ იქნას შესაბამისი დოკუმენტაცია;
- ვინაიდან საპროექტო ეგხ-ის დერეფანი უშუალო შეხებაშია მდ. რიონის, მდ. ლუხუნის მდ. სართაულას და მდ. ჯეჯორას ტერასა-კალაპოტებთან, პროექტი უნდა შეიცავდეს ამ მდინარეთა თხევადი და მყარი ჩამონადენის კანონზომიერებათა ანალიზს. კერძოდ, სხვადასხვა უზრუნველყოფის საშუალო წლიურ ხარჯებს, მათი საანგარიშო უზრუნველყოფის შიგაწლიურ განაწილებას, ჩამონადენის მაქსიმალურ ხარჯებს, მყარ ჩამონადენს, კალაპოტის წარცხვის მაჩვენებლებს და ა.შ. ასევე, მიზანშეწონილია ანგარიშში მოიცავდეს გარკვეულ ინფორმაციას სხვა მცირე მდინარეებსა და ხეობებზე, რომლებიც მოქცეულია ეგხ-ის დერეფნის არეალში.
- საპროექტო ტერიტორია მდებარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „ქუთაისი-ალპანა-მამისონის“ საავტომობილო გზის სიახლოვეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს საავტომობილო

გზების დეპარტამენტის პოზიცია და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია რომ „იმ შემთხვევაში, თუ ზუდალის ქვესადგურის აშენება ვერ მოესწრება საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციაში გაშვებამდე, ხაზის პირველი მონაკვეთი პირდაპირ დაერთდება მე-2 მონაკვეთზე“ აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას გზშ-ის ანგარიშში;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - „საქართველოს მთავრობის 2021 წლის 09 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილქთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია.
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის - გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „საერთაშორისო ენერჯო კორპორაციის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ამბროლაურის და ონის მუნიციპალიტეტში 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანას **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.